

ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში

თინათინ მარგალიტაძე

ლექსიკოგრაფიული ცენტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი აღინიშნა უდიდესი მიღწევებით მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. მოწინავე ტექნოლოგიები ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროშია შეჭრილი, იქნება ეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საავტომობილო საქმე თუ სოფლის მეურნეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნიკური პროგრესის ტემპი სულ უფრო იზრდება და ჩვენს ყოველდღიურობაში ისეთი რეალები შემოდის, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ოდენ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა.

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ესოდენ სწრაფი განვითარება გულისხმობს ახალი სამეცნიერო ცნებების, და შესაბამისად, ახალი ტერმინოლოგიის ბუნებრივ წარმოქმნას. ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოზღვავება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად იქცა. მეორე მხრივ, დიდი რაოდენობით ახალი სამეცნიერო ცნებების წარმოქმნამ გამოიწვია გარკვეული ცვლილებები თანამედროვე ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებში (Fontenelle, 2014), რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია იმ გამოცდილების გაზიარება, რაც ჩვენს ლექსიკოგრაფიულ გუნდს დაუგროვდა სამ ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე (50 000-მდე ტერმინი) მუშაობისას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს ლექსიკონებია: *ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი* (2009 - 2010), რომელიც მოიცავს ტერმინოლოგიას ისეთი სფეროებიდან, როგორცაა: ტაქტიკა, ოპერაციები, მანევრები, წვრთნები, შენაერთები, პერსონალი, წოდებები, ტრანსპორტი, იარაღი, აღჭურვილობა, ლოგისტიკა და სხვა (<http://mil.dict.ge>); *ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი* (2012 - 2014), რომელიც აერთიანებს შემდეგი ქვედარგების ტერმინოლოგიას: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია,

მოლეკულური ბიოლოგია და სხვა (<http://bio.dict.ge>); *ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია* (2014 - 2016), რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ისეთი დარგების ტერმინოლოგიას, როგორცაა: ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საავტომობილო, სამშენებლო, სარკინიგზო და სხვა.

საერთო ენის სიტყვების ტერმინოლოგიზაცია

თანამედროვე ტერმინოლოგიის ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენცია არის საერთო ენის სიტყვების ხშირი მიგრაცია ტერმინოლოგიაში. ეს არ არის ახალი ტენდენცია, საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციით არაერთი ტერმინია შექმნილი სხვადასხვა ენაში, მათ შორის ქართულ ენაში (დამბაშიძე, 1986). სიახლე არის ის, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საერთო ლექსიკის სიტყვების გამოყენება ტერმინოლოგიურ სიტყვათწარმოებაში. ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიის შედარება უფრო მოგვიანებით განვითარებული დარგების ტერმინოლოგიასთან ამ ტენდენციას მკაფიოდ ავლენს. ამისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ იმუნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, კომპიუტერულ, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ტერმინებს, მაგ.: ‘chaperone’ (ძირითადი მნიშვნელობა - *მეთვალყურე ქალი*), ‘checkpoint’ (*საკონტროლო-გამშვები პუნქტი*), ‘canalization’ (*არხების გაყვანა*) - გენეტიკა; ‘footprint’, ‘footprinting’ (*ფეხის ნაკვალევი, ფეხის ანაბეჭდი*) - მოლეკულური ბიოლოგია; ‘desktop’ (*საწერი მაგიდის ზედაპირი*), ‘mouse’ (*თაგვი*), ‘motherboard’ (*დედა დაფა*), ‘scroll’ (*გრაგნილი*), ‘host’ (*მასპინძელი*), ‘to bomb’ (*დაბომბვა*), ‘to hang’ (*დაკიდება*), ‘to boot’ (*ფეხის დარტყმა*), ‘wall paper’ (*შპალერი*), ‘wall’ (*კედელი*), ‘memory’ (*მეხსიერება*) - კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვა. ამგვარი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

ანალოგიური ტენდენცია იკვეთება მრავალსიტყვიან ტერმინებშიც: ‘jumping gene’ (სიტყვასიტყვით - *მხტუნავი გენი*), ‘gene gun’ (სიტყვასიტყვით - *გენის თოფი*), ‘gene library’ (სიტყვასიტყვით - *გენის ბიბლიოთეკა*) - ბიოტექნოლოგია; ‘Portuguese man-of-war’ (სიტყვასიტყვით - *პორტუგალიური სამხედრო ხომალდი*) - ზოოლოგია; ‘memory

stick' (სიტყვასიტყვით - *მეხსიერების ჩხირი*), 'touch screen' (სიტყვასიტყვით - *შეხეხვკრანს*) და სხვა.

საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიაში მიგრაციის გარდა გამოკვეთილია ენაში უკვე შექმნილი ტერმინების ხშირი გადასვლა დარგიდან დარგში, როგორც მონათესავე დარგებში, ისე სრულიად არამონათესავე დარგებში.

ზემოთ აღწერილი პროცესების მიზეზი ენებში დიდი რაოდენობით ახალი სამეცნიერო ცნებების მოზღვაებაა, რასაც ბუნებრივად მოსდევს დიდი რაოდენობით ახალი ტერმინების შექმნის საჭიროება. ამ ვითარებაში ენა ცდილობს ამოქმედოს ენობრივი ეკონომიის პრინციპი და მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული ენობრივი რესურსები ახალი ცოდნის შესაქმნელად. ეს რესურსები, უპირველეს ყოვლისა არის საერთო ენის ლექსიკა და არსებული ტერმინები.

ეს საკითხები მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით ეროვნული ენების მიერ. საერთო ლექსიკის ან არსებული ტერმინების ბაზაზე შექმნილი უცხოენოვანი ტერმინებისთვის ეკვივალენტების შესაქმნელად ქართველმა ტერმინოლოგებმა და დარგების სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ტენდენცია და მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ გადმოიტანონ ტერმინები ქართულ ენაში: ტრანსლიტერაციის გზით, თუ გამოიყენონ მშობლიური ენის რესურსი, მიმართონ სემანტიკური სესხების მეთოდს და თავადაც მიანიჭონ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა იმავე საერთო ლექსიკის სიტყვებს ან ტერმინებს ქართულ ენაში (მაგ. chaperone - შაპერონი თუ ცილა-მეთვალყურე; folding - ფოლდინგი თუ ცილის დაკეცვა).

თანამედროვე ტერმინოლოგიის აღნიშნული თავისებურების ფონზე, მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია (არაბული, 2016), რომელიც ენაში ძირითადად ტრანსლიტერაციის გზით მკვიდრდება: პრეციპიტაცია, ტულკიტი, სკროლინგი, სტარტაპი, სტარტაპერი, მერჩენდაიზერი, ტულტიპი, დესკტოპი, მაუსი, ჰოსტინგი, პოპაპი, ადჰეზია, დელეცია, შაპერონი, ფოლდინგი, ფუტპრინტინგი, რეპარაცია და სხვა. ტრანსლიტერაციის გზით მკვიდრდება მრავალსიტყვიანი ტერმინებიც: ტრანზიციული მუტაცია, რეციპროკული

ტრანსლოკაცია, რეზიდუალური სტრესის პატერნი, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა და სხვა. ჩვენმა ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოავლინა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინების 90% მათი შესატყვისი ინგლისური ტერმინების ტრანსლიტერირებული ვარიანტებია, მათ შორის ანალიტიკური ტერმინებიც. ეს საგანგაშო სტატისტიკაა და აუცილებლად გამოიწვევს დარგების განვითარების შეფერხებას საქართველოში.

ანალიტიკური ტერმინები და აკრონიმები

თანამედროვე ტერმინოლოგიის ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ანალიტიკური, მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა. ამგვარი ტერმინების რაოდენობის ზრდამ კი თავის მხრივ გამოიწვია მრავალი აბრევიატურის წარმოქმნა მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში: CPU (central processing unit), UPS (uninterruptible power supply), USB (universal serial bus), PDF (portable document format), GPS (global positioning system), CDMA (code division multiple access), HDMI (high-definition multimedia interface), HTML (HyperText Markup Language), UMTS (universal mobile telecommunications system) და სხვა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა 15 – 20 პროცენტიდან თითქმის 70 პროცენტამდეა გაზრდილი.

აღნიშნული ვითარებაც მნიშვნელოვანია ეროვნულ ენებში ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების კუთხით. ანალიტიკური ტერმინები, ერთი მხრივ, არ არის სხარტი და ეკონომიური, მაგრამ მათ აქვთ მეორე მხარე, ასეთი ტერმინები გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელია. ეროვნულ ენებში მათი გადატანისას საჭიროა მრავალსიტყვიანი ტერმინების ამ დადებითი მხარის მაქსიმალურად შენარჩუნება სტრუქტურული სესხების მეთოდის გამოყენებით. სამწუხაროდ, ქართულ ენაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვხვდება ანალიტიკური ტერმინების ტრანსლიტერაციით გადმოტანის ხშირი შემთხვევები, უფრო მეტიც, ამგვარი ქართული ტერმინების შექმნა წესად არის ქცეული. ანალიტიკური ტერმინების ტრანსლიტერაციით გადმოღება დაუშვებელი უნდა იყოს ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკისათვის, რადგან

ტრანსლიტერირებული ანალიტიკური ტერმინები არც სხარტია, არც გამჭვირვალე და მნიშვნელოვნად აბინძურებს ნებისმიერი დარგის ტერმინოლოგიას.

ტერმინთა სინონიმია და მისი მნიშვნელობა ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკისათვის

თანამედროვე ტერმინოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება უკავშირდება ტერმინთა სინონიმის ზრდას. ტერმინთა სინონიმია, როგორც მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უკვე ტერმინოლოგიურ სტანდარტებშიც აისახება (ISO 704 : 2009). სინონიმის დაშვება, როგორც ტერმინთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებისა, ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული ენების მიერ ტერმინოლოგიური პოლიტიკის შესამუშავებლად, კერძოდ ენაში ტრანსლიტერაციის გზით დამკვიდრებული ტერმინებისათვის შესაძლოა მშობლიური ენის რესურსებით სინონიმების შექმნა, რათა ორივე ტერმინმა თანაიარსებოს ენაში, როგორც თანაბარუფლებიანმა სინონიმებმა (Veldi, 2014). ჩვენ ამ მეთოდს აქტიურად ვიყენებდით ლექსიკოგრაფიული ცენტრის ინგლისურ-ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობისას და ენაში უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინებისათვის დარგის სპეციალისტებთან ერთად ქართულ სინონიმებს ვქმნიდით. მაგ. ადიტიური - ჯამური, შაპრონი - მეთვალყურე, ნეორიტრანსმიტერი - ნეიროგადამტანი, ინჰიბიცია - დათრგუნვა, ფოლდინგი - დაკეცვა, რეპარაცია - აღდგენა, ქემოატრაქტანტი - ქემომიმზიდველი, ქემორეპელენტი - ქემოგანმზიდველი, პრეციპიტაცია - გამოლექვა, დიმინუცია - დაკლება, პენტრანტობა - შეღწევადობა, პერმისიული - დამშვები, მაპრეციპიტირებელი - გამომლექი, რადიოტრასირი - რადიომგეზავი, სუსპენდირებული - შეტივიტივებული და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ენაში დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინებისათვის სინონიმების შექმნა მშობლიური ენის რესურსებით ესტონური ენის მნიშვნელოვანი ენობრივი პოლიტიკაა. ვფიქრობ, ამ პოლიტიკის გატარება წარმატებით შეიძლება ქართული ენისათვის.

დასკვნა

ამგვარად, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და დიდი რაოდენობით ტერმინების წარმოქმნამ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში, გამოიწვია ტერმინთა სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლების ცვლილება. ენამ აამოქმედა რა მის ხელთ არსებული რესურსები ახალი ცნებებისთვის სახელის დასარქმევად, გახშირდა საერთო ლექსიკის სიტყვების მიგრაცია ტერმინოლოგიაში, ასევე უკვე არსებული ტერმინების გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში, როგორც მონათესავე დარგებში, ისე სრულიად არამონათესავე დარგებში, მომრავლდა ტერმინოლოგიური აბრევიატურები, აკრონიმები, რაც ანალიტიკური, მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია, გახშირდა ტერმინთა სინონიმია და სხვა.

იმ ფონზე, როდესაც ინგლისურ ენაში მკაფიოდ იკვეთება ენობრივი ეკონომიის პრინციპის მოქმედება და ახალი ცოდნის შესაქმნელად ენა იყენებს არსებულ რესურსებს ნაცვლად ახალი სიტყვების შექმნისა, სრულიად დაუშვებელია ამ გზით ინგლისურ ენაში შექმნილ ტერმინთა ქართულად მხოლოდ ტრანსლიტერაციით გადმოტანა. მით უფრო, რომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე შექმნილი ტერმინოლოგიის ანალიზი მკაფიოდ ავლენს, რომ ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები, ქართული სიტყვათმწარმოებელი საშუალებები, სტრუქტურული შესხება მეტად მარჯვედ გამოიყენებოდა ქართული ტერმინების შესაქმნელად. კლასიკურ პერიოდში შექმნილი ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით და აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად. თითქმის ტერმინთა 80% ქართულ, ბუნებრივ ტერმინს წარმოადგენს და დიდი შემოქმედობითობით გამოირჩევა.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ტერმინი უნდა ითარგმნოს ქართულად. ტრანსლიტერაცია ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება ქართული ტერმინშემოქმედების აქტიურ მეთოდად. თუმცა საჭიროა ერთგვარი „ოქროს შუალედის“ პოვნა ქართული ენის რესურსებით შექმნილ ტერმინებსა და ტრანსლიტერირებულ ტერმინებს შორის.

თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია სავალალო მდგომარეობაშია. ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება საჭიროებს ფართო კონსენსუსს ენათმეცნიერებს, ტერმინოლოგებს და დარგების სპეციალისტებს შორის. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს დიალოგი ამ თემაზე ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ისე ქართული ტერმინშემოქმედების ისტორია და მდიდარი გამოცდილება.

მითითებული ლიტერატურა

არაბული, ა. ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. *ტერმინოლოგიის საკითხები II*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2016 წ.

მარგალიტაძე თ. (რედაქტორი), მელაძე გ., ხუნდაძე გ. „ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი“. <http://mil.dict.ge>. თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი. თბილისი, 2009 წ.

მარგალიტაძე თ. (რედაქტორი), მელაძე გ., ფორაქიშვილი ნ. (რედაქტორი), ხუნდაძე გ. „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი“. <http://bio.dict.ge>. თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი. თბილისი, 2013 წ.

მარგალიტაძე თ. (რედაქტორი), მელაძე გ., ხუნდაძე გ. „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი“. <http://techdict.ge>. თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი. თბილისი, 2015 წ.

ღამბაშიძე, რ. „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1986 წ.

Fontenelle, Th. From Lexicography to Terminology: a Cline, not a Dichotomy. *Proceedings of the XVI EURALEX International Congress: The User in Focus*. Andrea Abel, Chiara Vettori & Natascia Ralli (eds.). Bolzano/Bozen: Institute for Specialised Communication and Multilingualism, 2014. pp.25 – 45.

ISO 704 : 2009. Terminology Work – Principles and Methods.

Veldi, E. Concerning the Treatment of Co-existent Synonyms in Estonian Monolingual and Bilingual Dictionaries. *Proceedings of the XVI EURALEX International Congress: The User in Focus*. Andrea Abel, Chiara Vettori & Natascia Ralli (eds.). Bolzano/Bozen: Institute for Specialised Communication and Multilingualism, 2014. pp. 829 – 835.

